ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:ბ48. 482607914
თარიღი:20/03/2026

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა“ პუნქტის, ამავე კანონის 99-ე მუხლის, ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“, საქართველოს მთავრობის 2026 წლის 18 მარტის №560 განკარგულებისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური-სამსახურის უფროსის 2026 წლის 20 მარტის №04-4826079137 წერილის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისათვის, მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის პანაშვიდსა და დაკრძალვაზე პატივის მისაგებად თბილისში ტრანსპორტირების უზრუნველყოფის მიზნით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 46 სატრანსპორტო საშუალების დასაქირავებლად გამოიყოს თანხა 33 280 (ოცდაცამეტი ათას ორას ოთხმოცი) ლარის ოდენობით.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს თანხის გამოყოფა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3.კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს გრიგოლ ყურაშვილს.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ.N11).

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი